

ი ე ზ ი დ ი ზ მ ი

იეზიდისმი ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური რელიგიაა, რომლის ფესვები შუამდინარეთის კულტურებთან არის დაკავშირებული. ეზიდისმი (იეზიდისმი), ანუ ქურთულად, ეზდაითი, ტრადიციულ და ნაციონალურ რელიგიათა რიცხვს მიეკუთვნება. მას დასრულებული სახეზე იხ ადი იზნ მუსაფირმა მისცა მე-12 საუკუნეში. ამ რელიგიის მიმდევრები იეზიდებად იწოდებიან და წარმოადგენენ სუბეთნოსს დიდ ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში. მათი სუბეთნოსად ჩამოყალიბება განპირობებული არის მრავალსაუკუნოვანი დევნით. იეზიდისმის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი მეცნიერების შორის: ზოგიერთი მეცნიერი სიტყვა ეზიდს და ეზიდების წარმომავლობას ირანულ ქალაქ იეზდს უკავშირებენ; ზიგი - ძველ ირანულ სიტყვას იაზატას, ზოგი კი- ომაელ ხალიფა იაზად იზნ მუავის და ა.შ.

მათი ძირითადი ნაწილი სამხრეთ ქურთისტანში (ერაყი) ცხოვრობენ. ისინი აგრეთვე ცხოვრობენ სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანში (სირია), ჩრდილოეთ ქურთისტანში (თურქეთი). დიდი სათვისტომოებია უკრაინაში, რუსეთში და გერმანიაში. იეზიდები სასომხეთსა და საქართველოშიც ცხოვრობენ. ისინი ვანის ვილაეთიდან და ყარსის ოლქიდან გადმოსახლდნენ. მათი გადმოსახლება იყო განპირობებული მუსლიმი მოსახლეობის მიერ მათი დევნით. ქურთისტანის ტერიტორიაზე, ადრეულ შუა საუკუნეებიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით, ნახევრად დამოუკიდებელი ქურთული სამთავროები არსებობდა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. იქ ძირითადად იეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები ცხოვრობდნენ. ისინი მე-10 საუკუნემდე ებრძოდნენ ისლამის გავრცელებას ქურთისტანში, მაგრამ უკვე მე-10 საუკუნეში ნაწილმა მათგან ისლამი მიიღო.

მე-12 ს. იეზიდებმა მოახერხეს გაერთიანება შეიხ ადი იზნ მუსაფირის მეთაურობით, რომელიც უადრესად განათლებული პიროვნება იყო და სირიაში ერთ-ერთი გამოჩენილ ღვთისმეტყველად ითვლებოდა.

იეზიდებმა ის მხსნელად აღიარეს და მისი მიმდევრები გახდნენ. მან მოახერხა იეზიდთა უძველესი ტაძრის ლალიშის დაბრუნება. ის 90 წლის გარდაიცვალა და ლალიშშია დაკმალული, სადაც ყოველ წელს მრავალი იეზიდი პილიგრიმი ჩადის. მისი სიკვდილის შემდეგ იეზიდთა დევნა ისევ განახლდა.

იეზიდური რელიგია წმინდა რელიგიურ ტექსტებს - ყავლებს (სიტყვა) ანუ ღვთაებრივ მეცნიერებას ეფუძნება, რომელთა ავტორიტეტიც ურყევია მორწმუნე იეზიდისათვის. ეს ტექსტები, ძირითადად ზეპირად გადაიცემოდა მცოდნე ოსტატებისაგან (ჰოსტა) მომდევნო თაობას. ამ ტექსტებს არა ერთი ავტორი ჰყავს, რომლებიც ეზიდთა წმინდანები არიან. გარდა „ყავლებისა“ არსებობდა ორი ცნობილი წიგნი „მასჰაფა რაშ“ და „ქეთება ჯელვა“ („შავი წიგნი“ და „გამოცხადების წიგნი“). ცნობილია, რომ წიგნები იეზიდურ ანბანით ქურთულ ენაზე იყო დაწერილი. ამ წიგნების გარდა არსებობს არაბულ ენაზე ტყავზე დაწერილი წიგნები „მშურ“, რომლებიც წმინდანთა ცხოვრებასა და მათ ხალხთან ურთიერთობას აღწერენ. ეს წიგნები მე-13 საუკუნით თარიღდება და იეზიდთა სასულიერო გვარების წარმომადგენლებს - ფირებს ეკუთვნის და დღემდე მათ ოჯახებში ინახება. წმინდა წიგნებ-ყავლებში ნათქვამია, რომ იეზიდმა მხოლოდ სიკეთე უნდა დათესოს თავის ხანმოკლე ცხოვრების გსნმავლობაში. იეზიდების ყოველდღიური ცხოვრება რელიგიასთან არის დაკავშირებული. იეზიდებს ეკრძალებად სხვა სარწმუნოების ადამიანთან ოჯახის შექმნა. იეზიდური რელიგიის თანახმად ეზიდის დედაც და მამაც იეზიდი უნდა იყოს. იეზიდები სამ შტოდ (კასტად) იყოფიან: შეიხები, ფირები მურიდები (ქურთ. მრიდები, მიმდევარს ნიშნავს), რომლებიც რელიგიის წინაშე ღანასწორნი არიან. ამ სამ შტოს შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ეზიდებს მართავს სასულიერო კრება („დივანადინ“ ან „ჯვატა რუჰანი“).

ქართულ-ქურთულ ურთიერთობაზე მიგვითითებს მეფე ერეკლე მეორეს მიწერ-მოწერა იეზიდ დიდებულ ჩობან-აღასთან, ვისთან

ერთადაც აპირებდა ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრებას (ლაშქრობა რაღაც მიზეზის გამო ჩაიშალა). პირველი ნაკადი იეზიდების საქართველოში რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამოჩნდა. 1918 წ. რელიგიური დევნის გამო ოსმალეთიდან ქურთები გადმოსახლდნენ საქართველოში. მათ სათავეში ჯანგირ-ალა ედგა. ძირითადად თბილისის ძველ რაიონებში დასახლდნენ, დასახლდნენ აგრეთვე კახეთში, ოზურგეთში, თიანეთში და ბათუმში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათი ნახევარზე მეტი რუსეთსა, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გადაიხვეწა. მათ არ გააჩნიათ საკულტო ნაგებობა და ვერც ერაყში (ლაშიში) ჩასვლას ვერ ახერხებენ. თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებს ოჯახებში ატარებენ. ბოლო 15 წ. მანძილზე ბევრი ეზიდი, სხვა კონფესიების გავლენით, სხვა რელიგიას მიაკუთვნეს თავი. საქართველოში ეზიდთა რაოდენობა 15000 გაერთიანებულნი არიან „საქართველოს იეზიდთა კავშირში“.